

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5 9 0

ქ. ბათუმი, 04 ივლისი 2016 წ

#### პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტისა და „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის №139 ბრძანების შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბაგრატ მანველიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) რამაზ მამულაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ლევან კინწურაშვილი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);

დ) დიმიტრი დარჩია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);

ე) ვახტანგ გედენიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი).

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია) ხათუნა აბულაძე.

3. კომისიამ თავისი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის №139 ბრძანებით დამტკიცებული - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპიური დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. წინამდებარე ბრძანება გადაეგზავნოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ